

საქართველოს სასაქონლო უფლება  
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში

---

პრობლემათა ანალიზი

## ადამიანის უფლებათა ცენტრი



ავტორი: გიორგი ტყეაბუჩავა

რედაქტირება: ალექო ცეციშვილი, გიორგი კაკუბავა



ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

## სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა .....	4
მონიტორინგის ქვეშ არსებული საქმეები.....	5
1. ბიორგი მუშაუბის საქმე.....	5
2. მალხაზ მარალიკაშვილის საქმე.....	5
3. ბექა კაკაშვილის, ზურაბ ბერძენიშვილის, პანტა ხარატიშვილისა და თითე გადენიძის საქმე .....	5
4. სამოქალაქო აქტივისტების საქმე .....	6
5. ნოდარ რუხაძის საქმე .....	6
6. ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან დაკავებული მოქალაქეების საქმე.....	6
7. ლაშა ჩხარტიშვილის საქმე .....	6
8. ალექსი მაჭავარიანის, ნოდარ რუხაძის და ბიორგი მუშაუბის ადმინისტრაციული საქმე.....	6
9. სოფიო ბასილაძის საქმე.....	7
საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ 2020-2021 წლებში განხილული საქმეების სტატისტიკური ანალიზი .....	7
ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიშებში ასახული საკითხები.....	8
მტკიცებულებების გამოკვლევა და საქმის განხილვის პროცედურა.....	10
სასამართლო გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა .....	11
დასკვნა .....	12
რეკომენდაციები.....	13

## ზოგადი მიმოხილვა

სახელმწიფო ვალდებულია, ჩამოაყალიბოს ეფექტიანი საკანონმდებლო ბაზა და მართლმსაჯულების სისტემა, რომლის ფარგლებშიც, სხვა საპროცესო უფლებებთან ერთად, მაქსიმალურად იქნება გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული კანონმდებლობის შექმნითა და სასამართლო სისტემის ფართომასშტაბიანი რეფორმით, რომელიც მოიცავს როგორც მოსამართლეების დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნას, ისე ეფექტიანი გამოძიებისა და სამართალწარმოების სისტემის ჩამოყალიბებას.

დღეისათვის საქართველოში მოქმედებს 1984 წელს მიღებული, საბჭოთა პერიოდის შემორჩენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სამართლიანი პროცესის მოთხოვნებს და გამოიყენება მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის უფლების არამართლზომიერად შესაზღუდად. კოდექსი აწესებს გაცილებით ნაკლებ პროცედურულ გარანტიებს, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს გააჩნია - არ ითვალისწინებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის, უდანაშაულობის პრეზუმციის დაცვას, რიგ საპროცესო უფლებებს და სხვა. ამასთან, ცალკეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის აწესებს ისეთ მძიმე სახდელს, როგორცაა ადმინისტრაციული პატიმრობა.

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების საწინააღმდეგოდ აქტიურად განაგრძობენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენებას აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ არსებული სასამართლო პროცესები აჩვენებს, რომ მშვიდობიანი შეკრების მონაწილეებს, ძირითადად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა), 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისათვის დაუმორჩილებლობა) და 150-ე (თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება) მუხლების საფუძველზე აკავებენ. ამ მუხლების გამოყენებით შეკრებისა და გამოხატვის უფლების შეზღუდვის შემთხვევები წლების განმავლობაში დოკუმენტირებულია, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ.

სახელმწიფო აღიარებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმის გარდაუვალ საჭიროებას. ამ მიზნით, 2014 წლის 9 ივლისს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014-2015 წლების), სადაც ერთ-ერთ ამოცანად მითითებული იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის სისტემური გადასინჯვა<sup>1</sup>. 2016-2017 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში, ასევე, აღნიშნული იყო, რომ მოხდებოდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ინიცირება<sup>2</sup>. ახალი კოდექსის პროექტი შემუშავებულია<sup>3</sup>, მაგრამ საქართველოს

<sup>1</sup> იხ. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის #445 დადგენილება: [http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/2063HRAP\\_2014-2015.pdf](http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/2063HRAP_2014-2015.pdf)

<sup>2</sup> იხ. 2016-2017 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა: <http://myrights.gov.ge/ka/plan/action%20plan%202016-2017>

<sup>3</sup> იხ. ახალი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ინიცირება. <http://hrm.org.ge/ge/activity/sakartvelos-administratsiul-samartaldarghvevata-kodeksis-initsireba>

პარლამენტს იგი დღემდე არ მიუღია.

წინამდებარე დოკუმენტი გამოკვეთს და აფასებს იმ პრობლემებს, რაც ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგისას გამოვლინდა.

## მონიტორინგის ქვეშ არსებული საქმეები

2020 წლის თებერვლიდან დღემდე ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვების ქვეშ მოექცა სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის რამდენიმე საქმე, რომელთაგან ნაწილის განხილვა სასამართლოში ამჟამად დასრულებულია.

**1. გიორგი მუმლაძის საქმე** (ადმინისტრაციული დაკავება - სისხლის სამართლის წესით დაკავება) - სამოქალაქო აქტივისტს, გიორგი მუმლაძეს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რაც გულისხმობს - პოლიციის მუშაკის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლას, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე - აშკარად უკანონო ქმედებისთვის მის იძულებას, ჩადენილს ძალადობით ან ძალადობის მუქარით. საქმე, ამ დრომდე, თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილება.

**2. მალხაზ მანალიკაშვილის საქმე** - 2021 წლის 6 ივლისს მალხაზ მანალიკაშვილი პოლიციამ რუსთაველის გამზირზე აქციის მიმდინარეობისას დააკავა. ადვოკატის განცხადებით, მანალიკაშვილი იმყოფებოდა საპროტესტო აქციაზე - „თავისუფლებისთვის“ და გამოხატავდა პროტესტს. მეორე მხარეს მყოფმა ძალადობრივმა ჯგუფებმა მალხაზ მანალიკაშვილი იცნეს, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და ფიზიკურადაც იწვედნენ მასზე - ცდილობდნენ ჯებირებს მიღმა გადასვლას და მას საფრთხეს უქმნიდნენ. მანალიკაშვილი პოლიციელებმა გაიყვანეს ტერიტორიიდან და როგორც შემდეგ გაირკვა - დააკავეს პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის – 166-ე და 173-ე მუხლებით. საქმის არსებითი განხილვის გადადების შუამდგომლობა 7 ივლისს დაცვის მხარემ დააყენა, საქმის მასალების გაცნობისა და დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით.

მიუხედავად დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა, რითაც მტკიცდებოდა მანალიკაშვილის უდანაშაულობა, 2021 წლის 30 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოაცხადა განჩინების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლთან მიმართებით შეწყდა საქმე, მანალიკაშვილი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად 166-ე მუხლის 1-ელ და 174-ე მუხლის მე-4 ნაწილში და დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

**3. ბექა პაპაშვილის, ზურაბ ბერძენიშვილის, პაატა ხარატიშვილისა და ტიტე გედენიძის საქმე** - ადამიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა 2021 წლის 3 ივნისს, გენერალურ პროკურატურასთან, ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გამართულ საპროტესტო აქციაზე

დაკავებული ოთხი სამოქალაქო აქტივისტის - ბექა ჰაპაშვილის, ზურაბ ბერძენიშვილის, პაატა ხარატიშვილისა და ტიტე გედენიძის სასამართლო პროცესს. აქტივისტები დააკავეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, რაც გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას. სასამართლომ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე, 232-ე, 264-ე, 266-ე, 268-ე, 271-ე, 273-ე მუხლების თანახმად, დაადგინა, რომ შეწყვეტილიყო ბექა ჰაპაშვილის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო. ტიტე გედენიძე, პაატა ხარატიშვილი და ზურაბ ბერძენიშვილი კი ცნობილ იქნენ სამართალდამრღვევებად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაედოთ ჯარიმა, 2000 ლარის ოდენობით.

**4. სამოქალაქო აქტივისტების საქმე** - ადამიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა 2021 წლის 16 იანვრის საპროტესტო აქციაზე დაკავებული 7 აქტივისტის (ირაკლი ფავლენიშვილი, გივი ცინცაძე, ფარნავაზ გრიგოლია, ვანო მალალაშვილი, ნიკოლოზ კვიციანი, ნიკოლოზ ნარსია და დავით დიღმელაშვილი) სასამართლო პროცესს. აქტივისტები დააკავეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე, რაც გულისხმობს წვრილმან ხულიგნობასა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას. სასამართლომ საქმეზე ადმინისტრაციული სამართალწარმოება 166-ე მუხლის ნაწილში შეწყვიტა, ხოლო 173-ე მუხლის ნაწილში აქტივისტები სამართალდამრღვევებად ცნო და თითოეულს 1200-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

**5. ნოდარ რუხაძის საქმე** - ადამიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა 23 თებერვალს პარლამენტთან დაკავებული მოძრაობა „სირცხვილიას“ აქტივისტის, ნოდარ რუხაძის ადმინისტრაციული საქმის სასამართლო სხდომას. სამართალდამცავებმა იგი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე დააკავეს. მოსამართლემ ნოდარ რუხაძე სამართალდამრღვევად ცნო და სახდელის ზომად 2000-ლარიანი ჯარიმა განუსაზღვრა. საქმე ზემდგომ ინსტანციაში არ გასაჩივრებულა.

**6. ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან დაკავებული მოქალაქეების საქმე** - ადამიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა 2020 წლის 4 ნოემბერს ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან გამართულ საპროტესტო აქციაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე დაკავებული 7 პირის ადმინისტრაციულ პროცესს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, 7 დაკავებულიდან მხოლოდ ერთის მიმართ შეწყდა სამართალწარმოება. 3 პირი კოდექსის მხოლოდ 173-ე, 3 კი ორივე - 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის ცნობილ იქნენ სამართალდამრღვევებად. ერთს სახდელის ზომად 5 დღე-ღამით ადმინისტრაციული პატიმრობა, დანარჩენ 5 პირს კი 3 დღე-ღამის ვადით პატიმრობა განესაზღვრათ.

**7. ლაშა ჩხარტიშვილის საქმე** - 2020 წლის 20 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ლაშა ჩხარტიშვილი - ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე და მას ჯარიმის სახით დააკისრა 3500 ლარის გადახდა. მოსამართლე მანუჩარ ცაცუამ გადაწყვეტილება სამ სასამართლო სხდომაში მიიღო. თავის მხრივ, ლაშა ჩხარტიშვილმა გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ საჩივრის მიღებაზე მას უარი ეთქვა.

**8. ალექსი მაჭავარიანის, ნოდარ რუხაძის და გიორგი მუავანაძის ადმინისტრაციული საქმე** - ალექსი მაჭავარიანი პოლიციამ დააკავა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, რაც გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას. ნოდარ რუხაძე და გიორგი მუავანაძე პოლიციამ დააკავა - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის (წვრილმანი ხულიგნობა - საზოგადოებრივ ადგილებში ლანძვრა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს) და ასევე - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, რაც გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. ორივე საქმე გაერთიანდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს, სადაც სამივე დაკავებული სასამართლომ ცნო სამართალდამრღვევად საქართველომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში. ალექსი მაჭავარიანის მიმართ გამოყენებულ იქნა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ნოდარ რუხაძის მიმართ - ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით, გიორგი მუავანაძის მიმართ კი - 3 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა. გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით.

**9. სოფიო ბასილაძის საქმე** - 2020 წლის 30 ნოემბერს, პოლიციამ სამოქალაქო აქტივისტი სოფიო ბასილაძე სამართალდამრღვევად სცნო და დააჯარიმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42<sup>11</sup> მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, რაც გულისხმობს ღია სივრცეში პირბადის ტარების წესის დარღვევას. სიგარეტის მოწვევის დასრულებისას ბასილაძემ გაიკეთა პირბადე და ამით დაემორჩილა პოლიციის წარმომადგენლის მოთხოვნას. მიუხედავად ამისა, სამართალდამცველმა მაინც გამოწერა ჯარიმა, რომელიც ბასილაძემ დახია, რადგან ჩათვალა, რომ პოლიციელის ქმედება არასამართლიანი იყო. მისი თქმით, პოლიციელმა მას აგრესიულად და დამცინავად დაუწყო საუბარი - ეუბნებოდა, რომ ქვითრის ნარჩენები ნაგვის ურნაში ჩაეყარა. ამ ყველაფერმა სოფიო ბასილაძის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე იმოქმედა და წარმოთქვა სამართალდამცავის მისამართით შეურაცხმყოფელი ფრაზა. ამ ქმედების გამო პოლიციელმა ადგილზე საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი გამოიძახა და პოლიციელები ერთობლივად ეცადნენ სოფიო ბასილაძის დაკავებას. თუმცა, იქ მყოფი მოქალაქეების და ბასილაძის მეგობრების ჩარევის გამო, ეს ვერ მოახერხეს.

2021 წლის 17 მაისს, ქუთაისის საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებით, ღია სივრცეში პირბადის წესის ტარების წესის დარღვევისათვის გამოწერილი ჯარიმა გაუქმდა. მოსამართლემ უკანონოდ ცნო და გააუქმა ბასილაძისთვის დაკისრებული 20 ლარის ოდენობით ჯარიმა.

რაც შეეხება პოლიციელის მიერ კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საქმეს, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ, 2021 წლის 16 თებერვლის დადგენილებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის გათვალისწინებული ქმედებისთვის სოფიო ბასილაძე სამართალდამრღვევად ცნო და დააკისრა ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის მიერ მომზადებული სააპელაციო საჩივრით საქმის განხილვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაგრძელდა. 2021 წლის 27 აგვისტოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა სოფიო ბასილაძის მიმართ გამოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 173-ე მუხლით). შესაბამისად, სამოქალაქო აქტივისტისათვის დაკისრებული 1000 ლარი ჯარიმაც გაუქმდა.

## საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ 2020-2021 წლებში განხილული საქმეების სტატისტიკური ანალიზი

ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეისწავლა, მონიტორინგის ქვეშ არსებული, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების მიერ 2020-2021 წლებში განხილული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა), 173-ე მუხლით (პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი ან განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა) და 174-ე (პრიმა) მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 12 საქმე. ადმინისტრაციული წესით დაკავება განხორციელდა ყველა ზემოაღნიშნულ საქმეში. შესწავლილი 12 საქმიდან, მხოლოდ 5 საქმეზე შეწყდა ნაწილობრივ წარმოება სამართალდარღვევის არაარსებობის საფუძველით. თუმცა, დადგინდა სხვა მუხლების დარღვევა; დანარჩენ საქმეებში სამართალდარღვევის ფაქტი დადგინდა და გამოყენებული იქნა: 2 საქმეში - სიტყვიერი შენიშვნა, 11 საქმეში - ჯარიმა, ხოლო - 2 საქმეზე - პატიმრობა.

მოცემულ საქმეებში გამოიკვეთა საერთო სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვა კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევით, რასაც, პირველ რიგში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების ნორმატიული შინაარსი განაპირობებს.

## ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიშებში ასახული საკითხები

ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიშებში<sup>4</sup>, წლების განმავლობაში ფიქსირდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას არსებული პრობლემები: კოდექსში სამართალდამრღვევად ცნობისთვის კონკრეტული მტკიცებულებითი სტანდარტისა და მტკიცების ტვირთის არარსებობა განაპირობებს პირის სამართალდამრღვევად ცნობას სამართალდარღვევის

<sup>4</sup> 1) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020: <https://bit.ly/2JZ0eZh>; 2) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შემაჯამებელი ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020: <https://bit.ly/2X54qNc>; 3) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შემაჯამებელი ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021: <https://bit.ly/3AS7xWX>; 4) საპროტესტო აქციების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020: <https://bit.ly/3CvhLP7>; 5) საპროტესტო აქციების მონიტორინგის შედეგები, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020: <https://bit.ly/3jaTSEw>. საპროტესტო აქციების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021: <https://bit.ly/3DT0Dmu>; 6) ადმინისტრაციული შეცდომა ქართული სამართალშემოქმედების ჩრდილქვეშ, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021. <http://www.hrc.ge/files/108administraciuli%20samartaldargveva.geo..pdf>



ოქმის და ამავე ოქმის შემდგენი პოლიციელის ზეპირი განმარტების საფუძველზე; სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა დაუსაბუთებელია და შაბლონურ ხასიათს ატარებს; კერძოდ, არ ხდება პირის ქმედების სუბსუმცია ნორმაში აღწერილ სამართალდარღვევასთან, სასამართლო ეყრდნობა მხოლოდ სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმების მონაცემებს და სასამართლო სხდომაზე ოქმის შემდგენი სამართალდამცავი პირის განმარტებას. ყველა მტკიცებულება მოპოვებულია ერთი ორგანოს/პირის მიერ და მტკიცებულებათა ერთობლიობა მხოლოდ ფორმალურად არსებობს<sup>5</sup>.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მტკიცების ტვირთის არარსებობის გამო, მონიტორინგის გზით შესწავლილ საქმეებში ფიქსირდება სასამართლოს მსჯელობა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობის პრეზუმფციის შესახებ. ადმინისტრაციულ ორგანოს არ ეკისრება მტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მტკიცების ტვირთის განაწილების წესისა და მტკიცების სტანდარტების არარსებობის გამო, მხოლოდ ოქმის სისწორის ფორმალური კანონიერება მოწმდება, გაზიარებული ან უარყოფილი მტკიცებულებების მითითების გარეშე. მწვავე პრობლემაა ისიც, რომ ოქმში დაფიქსირებული შესაძლო სამართალდარღვევის ფაქტის გამოკვლევის შესახებ სასამართლო ფაქტობრივად არ მსჯელობს.

პრობლემას წარმოადგენს ქმედების კვალიფიკაცია იმ შემთხვევაში, თუკი პირი არ ემორჩილება პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას და აგრძელებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 35-ე მუხლი<sup>6</sup> პირისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ადგენს მართლსაწინააღმდეგო ქცევის განგრძობას უფლებამოსილ პირთა მოთხოვნის მიუხედავად. ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის<sup>7</sup> მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ცალკე სამართალდარღვევას წარმოადგენს. სპეციალური ნორმისა და დამამძიმებელი გარემოების დისპოზიციის<sup>8</sup> ფაქტობრივი იდენტიფიკაციის გამო მოსამართლეები განმარტების გარეშე იყენებენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლს კონკრეტული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმების ნაცვლად. ამის გამო, პირის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ერთი მუხლით ბრალეულად ცნობის ნაცვლად, ხდება კოდექსის ორი მუხლით სამართალდამრღვევად ცნობა და შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის ოდენობაც იზრდება.

დაუსაბუთებელია სასამართლოს გადაწყვეტილებები სახდელის გამოყენების თვალსაზრისითაც. კერძოდ, მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები შემოიფარგლება მხოლოდ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ თუ შემამსუბუქებელ გარემოებაზე მითითებით და არ აღინიშნება სახდელის გამოყენების მიზეზი და საფუძველი. შესწავლილი საქმეებიდან, შეუძლებელია განსაზღვრა, თუ რა გარემოებების არსებობის შემთხვევაში იყენებენ მოსამართლეები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე

<sup>5</sup> სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შემავაშვებელი ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021 გვ. 41. <https://bit.ly/3AS7xWX>.

<sup>6</sup> იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 35-ე მუხლი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=482>

<sup>7</sup> იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=482>

<sup>8</sup> შენიშვნა: იგულისხმება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 35-ე და 173-ე მუხლები: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=482>

მუხლით<sup>9</sup> გათვალისწინებულ შესაძლებლობას. განჭვრეტადობის ასეთი პრობლემა ყველა შესწავლილი საქმისთვის დამახასიათებელი ნიშანია.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის დადების ზოგადი წესები მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-4 თავში. მოსამართლეთა მიერ, როგორც წესი, აღინიშნება, რომ სასამართლომ იმსჯელა კოდექსის 33-ე მუხლის<sup>10</sup> მეორე წინადადებით გათვალისწინებულ გარემოებებზე, მაგრამ აღნიშვნა ფორმალური სახისაა და კონკრეტულ გარემოებებზე მითითებას არ შეიცავს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების განხილვისას, მტკიცებულებების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია პოლიციელთა სამხრე ვიდეოკამერების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარვეზები. სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელებისას, პოლიციელი აღჭურვილი უნდა იყოს ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული ჩართული ვიდეოგადამღები ტექნიკით<sup>11</sup>. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ვიდეო ჩანაწერის, როგორც ნეიტრალური მტკიცებულების, არარსებობისას და მტკიცებულებათა სტანდარტის არარსებობის პირობებში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების უპირატესი დაცვის მიზნებს არ ემსახურება. ამ პრობლემაზე მიუთითებს საქართველოს სახალხო დამცველიც<sup>12</sup>. ასევე, ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე პირის პასუხისგებაში მიცემა მტკიცების ტვირთს მოქალაქეს აკისრებს, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლებას არღვევს. საქმეთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, სასამართლოები უგულებელყოფენ კონსტიტუციურ პრინციპს, რომლის თანახმად, არავის ევალება საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება. ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე სპეციალური საპოლიციო კონტროლის დროს დაკავებისას, პოლიციელები არ ასრულებენ კანონით პირდაპირ დადგენილ ვალდებულებას და არ ასახავენ დაკავების პროცესს სამხრე ან ვიდეოკამერით.

ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე პირის პასუხისგებაში მიცემა მტკიცების ტვირთს მოქალაქეს აკისრებს, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლებას არღვევს. შედეგად, უყურადღებოდ რჩება კანონის პირდაპირი მოთხოვნის დარღვევა, ხოლო გადაწყვეტილება მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებს ეყრდნობა.

## მტკიცებულებების გამოკვლევა და საქმის განხილვის პროცედურა

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 264-ე მუხლი საქმეების განხილვისას გამოსარკვევ შემდეგ სავალდებულო გარემოებებს განსაზღვრავს: სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ბრალეულობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. ამასთან, არ არის დადგენილი მტკიცებულებათა გამოკვლევის ვალდებულება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ არსებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო განხილვის პროცესების უმრავლესობა ზედაპირული და ფორმალურია: სასამართლო პროცესზე მტკიცებულებათა გამოკვლევა არ ხდება, სამართალდამრღვევის ოქმის

<sup>9</sup> იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=482>

<sup>10</sup> იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=482>

<sup>11</sup> იხ. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტი: <https://bit.ly/3aPX6Zz>.

<sup>12</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში, გვ.466-467

შემდგენი პოლიციელი ზეპირად განმარტავს ოქმის შინაარსს. ამ პროცედურის შემდეგ კი მოსამართლე მცირე ვადებში აცხადებს შეფარდებულ სახდელს. განხილვის ფორმალურ ხასიათს ადასტურებს განხილვის ხანგრძლივობაც, რაც ხშირად მხოლოდ რამდენიმე წუთი გრძელდება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის<sup>13</sup> პირველი ნაწილი მტკიცებულების ცნებას განმარტავს. 236-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რასაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. იმავე მუხლის მე-2 ნაწილი მოიცავს მტკიცებულებათა სახეების ჩამონათვალს, კერძოდ ესაა: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტება, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებები, ექსპერტის დასკვნა, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგები, ვიდეოფირი ან ფოტოფირი, ნივთიერი მტკიცებულება, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმი და სხვა დოკუმენტები. ამასთან, კოდექსი არ განსაზღვრავს მტკიცებულებათა შეფასების წესს<sup>14</sup>, როგორც ეს სისხლის სამართლის პროცესში არის დადგენილი<sup>15</sup>, გარდა მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით, საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევით, მათი ერთობლიობით შეფასებისა<sup>16</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ სასამართლო პროცესებზე მტკიცებულებებად, ძირითადად, წარმოდგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმები, პოლიციელის პატაკი ან ახსნა-განმარტება უშუალოდ სასამართლო პროცესზე, რომელიც იმეორებს ოქმში დაფიქსირებულ მონაცემებს. ერთეულ შემთხვევებში მტკიცებულებად მოყვანილია მოწმეთა წერილობითი ახსნა-განმარტებები, ძირითადად - სხვა პოლიციელი მოწმეებისა. გამონაკლის შემთხვევებში გვხვდება ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც არის სამხრე კამერებით გადაღებული ვიდეოჩანაწერი. ასეთის არსებობის შემთხვევაში კი, ვიდეოჩანაწერზე არსებული ინფორმაცია, ხშირად არ ასახავდა რეალურ ფაქტს, ერთეული შემთხვევების გარდა, შეუძლებელი იყო პირთა ამოცნობა და სამართალდარღვევის ფაქტის იდენტიფიცირება. მოწმეებად კი ისეთი პოლიციელები იკითხებოდნენ, რომლებსაც საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა სამართალდარღვევის აღკვეთასა და პირთა დაკავებაში.

რაც შეეხება პოლიციის მოთხოვნისადმი ან განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობას, არც ოქმში არ არის მითითებული და არც სასამართლო განიხილავს, რა მოთხოვნა წაუყენა პოლიციელმა პირს. საქმეების განხილვისას სასამართლოები არ იკვლევენ პოლიციელთა მოთხოვნის/განკარგულების კანონიერების/უკანონობის საკითხს და მხოლოდ პირის დაუმორჩილებლობის საკითხს ადგენენ სამართალდარღვევის ოქმებში და შემდეგ სასამართლოს მიერ წვრილმან ხულიგნობად ფასდება სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა, გინება უშვერი სიტყვებით ან უმისამართოდ, ყვირილი, ქუჩაში უცენზურო ხმამაღლა

<sup>13</sup> იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილი:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=482>

<sup>14</sup> იხ. <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1936>

<sup>15</sup> იგულისხმება: დასაშვებობა, რელევანტურობა, უტყუარობა.

<sup>16</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 237:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=137>

საუბარი და ყველა ასეთ შემთხვევაში, საერთო სასამართლოები არ მსჯელობენ, სიტყვიერი შეურაცხყოფით ირღვევა თუ არა საზოგადოებრივი წესრიგი. ტენდენციურად, სასამართლო იზიარებს სამართალდარღვევის ოქმის შინაარსს და არ უთითებს და არ აფასებს კონკრეტულ მტკიცებულებებს<sup>17</sup>. სასამართლო ზოგადად ვარაუდობს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით მოქმედებს და იგი სრულად იზიარებს მის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებებს და გამოძახებული პოლიციელების ახსნა-განმარტებებს, ნეიტრალური მტკიცებულებებისა და დაცვის მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შეფასების გარეშე.

## სასამართლო გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა

სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებში არ არის აღწერილი ის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რაც სასამართლოს მიერ სამართალდარღვევად იქნა მიჩნეული. სასამართლოს გადაწყვეტილებებში არ გვხვდება მსჯელობა ასეთი ქმედებების ბუნებისა და ხასიათის შესახებ. სასამართლო შეფასებების გარეშე უთითებს, რომ პირმა დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და პოლიციის კანონიერ მოთხოვნას არ დაემორჩილა, მაგრამ კერძოდ რა ქმედებაში გამოიხატა ეს, სასამართლო არ უთითებს და არ აფასებს.

კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც მონიტორინგისას გამოვლინდა, დამატებითი კვალიფიკაციის არასწორად გამოყენებების შემთხვევებია. საქმეთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, პოლიციის მოწოდების მიუხედავად საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის განგრძობა მიიჩნევა არა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, არამედ იგი დამატებით კვალიფიცირდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით. ზოგადად, სასკ-ის 173-ე მუხლში იგულისხმება პოლიციის კანონით დადგენილი უფლება-მოვალეობებისადმი დაუმორჩილებლობა და საქმეში თუ არ არის საკმარისი ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები, რაც დაადასტურებს რომელიმე კონკრეტული კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, იგი არ შეიძლება დამატებითი სასჯელის გამოყენების საფუძველი იყოს. რაც შეეხება მართლსაწინააღმდეგო ქცევის შეწყვეტის მოთხოვნის მიუხედავად საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის განგრძობას, ეს უკვე დამამძიმებელი გარემოებაა და დამოუკიდებლად კვალიფიკაციის საფუძველს არ წარმოადგენს.

შესწავლილ საქმეთა უმრავლესობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები ერთობლივად იქნა გამოყენებული.

ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებისას, საქმეთა უმრავლესობაში, სასამართლო არ ასაბუთებს, რატომ იყენებს სახდელს; მათ შორის, არ მსჯელობს დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების, სამართალდამრღვევის პიროვნული მახასიათებლების შესახებ. სასამართლო ფაქტობრივ გარემოებებზე ზოგადი მსჯელობით შემოიფარგლება. გარდა ამისა, სასამართლო არ მსჯელობს, რა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები განაპირობებს დამამძიმებელი გარემოების არსებობას ან სამართალდამრღვევს რა პიროვნული თვისებები ახასიათებს, რაც სახდელის გამოყენებას მიზანშეწონილს გახდის. სასამართლო

17

ამ ტენდენციებზე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სახალხო დამცველი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1936>

არ უთითებს იმ კონკრეტულ მტკიცებულებებს, რასაც ეს სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება.

სიტყვიერი შენიშვნის გამოყენების შემთხვევაშიც სასამართლო უთითებს, რომ: **„სარგებლობს ფართო დისკრეციით და ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს დასკვნა სანქციის ადეკვატურობაზე და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ“**. თუმცა, არც ამ შემთხვევაში ასაბუთებს მტკიცებულებებით გადაწყვეტილებას.

ძირითადად, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გვხვდება სახდელის გამოყენების ან პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დასაბუთება: პირის ახსნა-განმარტება, აღიარება, არსებითი ზიანი არავის მიდგომია. სხვა ერთეულ შემთხვევაში სახდელის დაკისრებისას მსჯელობა ვითარდება პირის აგრესიაზე და სამართალდარღვევის სავარაუდო სიძულვილის მოტივით განხორციელების შესახებ.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოებისათვის მნიშვნელოვანია პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს და დემოკრატიული პრინციპის მთავარ ელემენტს. სამართლიან სასამართლოზე უფლება კომპლექსური ხასიათისაა და შინაარსობრივად აერთიანებს ურთიერთდაკავშირებულ რამდენიმე უფლებას. მათ შორისაა „თანაზომიერების პრინციპი“, რომელსაც გადამწყვეტი ადგილი უჭირავს სანქციის შეფარდების პროცესში. მოქმედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არარსებული სათანადო საპროცესო გარანტიები და მანკიერი სასამართლო პრაქტიკა იწვევს სამართლიანი სასამართლოს უფლების არასრულფასოვან რეალიზებას, რაც ამ კოდექსის გამოყენებით ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევის საფუძველია.

## დასკვნა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე სასამართლოთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების უმთავრეს პრობლემას დასაბუთებულობის ნაკლებობა წარმოადგენს. მონიტორინგის ქვეშ მოქცეულ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა გაჭერებულია მხოლოდ სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაციით, ხოლო მოსამართლე ფაქტობრივად არ მსჯელობს სამართალდარღვევის ოქმში დაფიქსირებული შესაძლო სამართალდარღვევის ფაქტის გამოკვლევის შესახებ.

სასამართლო გადაწყვეტილებათა აბსოლუტური უმრავლესობა იმეორებს კანონის ნორმის შემადგენლობას და არ ახდენს პირის მიერ ჩადენილი ქმედების სუბსუმციას ნორმაში აღწერილ სამართალდარღვევასთან. სასამართლო მხოლოდ აღნიშნავს, რომ - **„ქმედებისთვის დამახასიათებელი დამამძიმებელი გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით იყენებს ადმინისტრაციულ პატიმრობას“**, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მიუთითებს, რომ - **„ჭარბის დაკისრება ვერ უზრუნველყოფს სახდელის მიზნების განხორციელებას“**. შეიძლება ითქვას, პრაქტიკაში, სასამართლოს მსჯელობა შედარებით აკმაყოფილებს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მოთხოვნებს, თუკი სასამართლო პირს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, ან იყენებს მოთხოვნილზე ნაკლები ინტენსივობის სახდელს.

პრობლემის მთავარი საფუძველია, ასევე, სასამართლოთა მიერ სამართალდარღვევის ოქმზე დაყრდნობა, მით უფრო მაშინ, როდესაც საქმეთა აბსოლუტურ უმრავლესობაში მტკიცებულებათა ერთობლიობა მხოლოდ ფორმალურად არსებობს, რეალურად კი ყველა მტკიცებულება ერთი და იმავე

სამართალდამცველების მიერ არის მოპოვებული.

მწვავე პრობლემაა მოსამართლეთა მიერ სამართალდამცველთა მიერ შედგენილ აქტებზე წინასწარი სარწმუნო განწყობის შექმნა და გადაწყვეტილების მიღებამდე, მთელი პროცესის განმავლობაში, ამ განწყობით ხელმძღვანელობა.

როგორც სასამართლო პროცესების მონიტორინგიდან გამოვლინდა, უმრავლეს შემთხვევაში, იმ პირის ახსნა-განმარტება, რომლის მიმართაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, არ არის სარწმუნო. სასამართლოს მიდგომიდან იკვეთება, რომ სავარაუდო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის, როგორც საქმის შედეგში უშუალოდ დაინტერესებული პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, შესაძლოა, გამიზნული იყოს სამართალდარღვევის დაფარვის, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების ან სხვა ქვენაგრძნობით. ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს პრინციპს. შესაბამისად, ყოველ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეში უნდა მოხდეს არსებულ მტკიცებულებათა ურთიერთშეპირისპირება არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე და არა სავარაუდო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის და მისი ინფორმაციის მიმართ წინასწარ არსებული უნდობლობისა და მიკერძოების გამო.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად<sup>18</sup>, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომლის ჩადენისათვის პირს შეიძლება პატიმრობა შეეფარდოს, უნდა განიხილებოდეს როგორც „სისხლის სამართლის ბრალდება“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის გაგებით, იმის მიუხედავად, რამდენად ხანმოკლე იქნება შესაძლო პატიმრობის ვადა.

საქმეზე „გრადინგერი ავსტრიის წინააღმდეგ“<sup>19</sup>, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ესა თუ ის სამართალდარღვევა და სანქცია, ამ სამართალდარღვევის ხასიათისა და მისთვის დადგენილი სანქციის სიმკაცრის გათვალისწინებით, შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში მათი ადმინისტრაციულ დარღვევად და ადმინისტრაციულ სახდელად კატეგორიზაციის მიუხედავად, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და სისხლის სამართლის სასჯელი. შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალწარმოება უნდა მიჩნეული იქნეს სისხლის სამართალწარმოებად და მასზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე) მოქმედება უნდა გავრცელდეს.

ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე სასამართლო მონიტორინგის განხორციელების შედეგად იდენტიფიცირებული სამართლებრივი პრობლემების/ხარვეზების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ სისხლისსამართლებრივი ბუნების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები) საქმეებზე სამართალწარმოების პროცესში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმატიული შინაარსი არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებას. საერთო სასამართლოების

<sup>18</sup> იხ. 2005 წლის 1-ლი თებერვლის გადაწყვეტილება საქმეში „ზილიბერბერგი მოლდოვას წინააღმდეგ“, განაცხადი #61821/00 (2005); 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეში „ვალსტიანი სომხეთის წინააღმდეგ“, განაცხადი #26986/03; დიდი პალატის 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეში „სერგეი ზოლოტუხინი რუსეთის წინააღმდეგ“, განაცხადი #14939/03.

<sup>19</sup> იხ. Gradinger v. Austria, განაცხადი no. 15963/90, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, პუნქტები 35-36.

განვითარებული პრაქტიკა კი, არ უზრუნველყოფს უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, არ აკისრებს ოქმის შემდგენ ორგანოს/პირს მტკიცების ტვირთს, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლებას, რაც უხეშად არღვევს პირის უფლებებსა და თავისუფლებებს.

## რეკომენდაციები

### საქართველოს პარლამენტს:

- დაუყოვნებლივ მიიღოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსი, რომელიც იქნება ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების გარანტია.

### საერთო სასამართლოებს:

- უზრუნველყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვითა და მიუკერძოებლად განხილვა;
- უზრუნველყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მოსამართლეთა მიერ გამოტანილ დადგენილებებში დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლება;
- უზრუნველყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის პროცესში მტკიცების ტვირთის სწორად განაწილება, არ მიანიჭოს უპირატესი იურიდიული ძალა ერთი მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ყოველმხრივ და სწორად იქნას გამოკვლეული ისინი;
- შეაფასოს სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებები და მათი მოპოვების კანონიერების საკითხი.
-